

კუპანიშკარული მუხნიარკაბა

მაია თევაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

კომუნიკაციური მნიშვნელობის ლინგვოპრაგმატიკული ხასიათი

კომუნიკაციური მნიშვნელობის პრობლემა თანამედროვე კვლევებში სრულიად სხვაგვარად განიხილება, ვიდრე ეს ხდებოდა წლების წინ. კერძოდ, მას ენიჭება საკმაოდ რთული სტრუქტურა, სადაც გარდა ლინგვოსტილისტიკური კომპონენტებისა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რიგ არაენობრივ ფაქტორებს, რომლებიც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის გამოხატული, თუმცა დიდ გავლენას ახდენს მისი პრაგმატიკული მნიშვნელობის შევსებაზე.

ენობრივი ნიშნის შინაარსი დაკავშირებული არის არაენობრივ რეალობასა და მეტყველების სუბიექტთან, რომელიც წარმოაჩენს ამ რეალობას. ადამიანური ფაქტორის გააქტიურება თამაშობს მთავარ როლს ენის, როგორც ინდივიდის შემეცნებითი მოღვაწეობის ძირითადი მოვლენის შესწავლაში.

მეტყველების შესწავლა აღნიშნული თვალსაზრისით გულისხმობს ენობრივი მოვლენებისადმი მიდგომას იმ ტიპის არაენობრივი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა კომუნიკანტების სოციალური მახასიათებლები, მათი ურთიერთობების სპეციფიკა, მათი დამოკიდებულება კომუნიკაციის ობიექტისადმი, სიტუაციისადმი და ა. შ. ცხადია, რომ აღნიშნული ფაქტორების კვლევა მოითხოვს შესაბამის მასალას კვლევის ისეთი ობიექტის საძიებლად, რომელშიც აღნიშნული ურთიერთკავშირები განსაკუთრებული სიციხადით იქნებოდა წარმოჩენილი. ასეთ ობიექტად აღიარებულ იქნა დისკურსი, ე. ი. მეტყველება, როგორც მიზანმიმართული სოციალური ქმედება, რომელიც შეიცავს მის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ყველა ექსტრალინგვისტურ ფაქტორს, ხოლო მისი მინიმალური ერთეული არის სამეტყველო აქტი.

აღნიშნული პრობლემის არსის შესწავლასთან არის დაკავშირებული ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში ენობრივი ერთეულების სამეცნიერო კვლევის საზღვრების საკითხი. განვიხილავთ რა სამეტყველო აქტს როგორც ცოცხალი კომუნიკაციის ერთეულს, როგორც გარკვეული კომუნიკაციური მიზნის მქონე მეტყველების მონაკვეთს, ძალიან რთულია გამოიყოს მისი მკვეთრი, კონკრეტული ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებდნენ, მაგალითად, წინადადებისაგან, ან გამონათქვამისაგან, რომელიც ჩვეულებრივ შეიძლება გამოხატავდეს თხრობას, შეკითხვას ან წაქეზება-ბრძანებას.

დიალოგიური დისკურსი საშუალებას იძლევა ბუნებრივი ენის შესწავლისას არა როგორც მეტყველების სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მოვლენისა, არამედ იგი განიხილება სუბიექტისაგან და სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორებისაგან განუყოფლად. დიალოგი ექვემდებარება პიროვნებათაშორისი და კულტურათაშორისი ურთიერთობების ფსიქოლოგიას, რაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური ფაქტორები.

თანამედროვე ლინგვისტიკაში სამეტყველო ქმედების შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა, დეტალურად იკვლევა ისეთი არავერბალური და პარავერბალური ფაქტორები, როგორებიცაა ჟესტები, მიმიკა, კომუნიკაციის პირობები, სიტუაცია, კომუნიკანტების პიროვნული თვისებები. მიუხედავად ზეპირი დიალოგიური მეტყველების ლინგვისტური შესწავლის სირთულისა და მუდმივი კამათისა მიღებული შედეგების შესახებ, ენათმეცნიერებაში შემუშავებულია ორი მიდგომა ზეპირი დიალოგიური კომუნიკაციისადმი, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების ენობრივი ერთეულების შესახებ არსებული პრაქტიკული ინფორმაციის წყაროსადმი.

დიალოგიური დისკურსი არის სისტემური ხასიათის, ვინაიდან დიალოგის ყველა კომპონენტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ამავე დროს ზოგი მათგანი არ არის ენობრივი. ამის გარდა, დიალოგიური დისკურსი არის აბსტრაქტული ცნება, რომელიც მოიცავს დიალოგის ყველა ფორმას და მისი არსებობის სიტუაციურ ფაქტორებს. ჩვენ კი გვჭირდება რომ გამოვყოთ მასში ისეთი ერთეული, რომელიც საშუალებას მოგვცემდა რაც შეიძლება სრულად გამოგვევლინა გარკვეული სამეტყველო აქტების სპეციფიკა.

დიალოგური ერთობების გარდა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ერთეულს შეიძლება წარმოადგენდეს უფრო ვრცელი წარმონაქმნები, კერძოდ კი დიალოგური ბლოკები, ფრაგმენტები, ეტიუდები, ნაწყვეტები და ა. შ. მათი საზღვრები და შინაარსი დამოკიდებულია კვლევის ამოცანებსა და მიზნებზე და ამის გამო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. სამეტყველო-სიტუაციური ბლოკის ცნება მნიშვნელოვანწილად აფართოვებს მეტყველების კვლევის ჩარჩოებს. კულტურათა დიალოგის თეორიაში იგი განიხილება როგორც დიალოგური კომუნიკაციის ერთეული, რომელიც შედგება ენობრივი და სიტუაციური კომპონენტებისგან. კომუნიკაციური ბლოკი განისაზღვრება როგორც უფრო მაღალი დონის ერთეული, ვიდრე დიალოგური ერთობა, ვინაიდან ბლოკი შეიცავს რეპლიკების თანმიმდევრობას, რომელიც შედგება რამდენიმე გამონათქვამისგან.

დიალოგი-ეტიუდის ცნება დაკავშირებულია დიალოგური კომუნიკაციის ექსპერიმენტულ კვლევასთან. ამ ტიპის ნაშრომებში საქმე ეხება მოკლე დიალოგებს სასაუბრო თემებზე, რომლებიც სქემატურად გადმოსცემენ კომუნიკაციის სიტუაციას, კომუნიკანტების როლებსა და მიზანს.

ამგვარად, კომუნიკაციის კვლევაში ამოცანას წარმოადგენს კომუნიკაციური სტიმულისა და მისი შესაძლებელი ვარიანტების დეტალური აღწერა სხვადასხვა ტიპის სამეტყველო აქტებში, ის, რასაც ადრე ჰქონდა მხოლოდ გრამატიკული კვლევის სახე.

კომუნიკაციური სტიმული განიხილება მეცნიერთა მიერ ან როგორც ობიექტური რეალობა – ამა თუ იმ სამეტყველო აქტის რეალიზაციის მიზეზები და გარე პირობები, ან როგორც ინდივიდის კოგნიტიური ქმედების შედეგი, ე. ი. მოტივი, ან შინაგანი იმპულსი, ან რაიმე აბსტრაქტული სამეტყველო აქტი, რომელიც წინ უსწრებს საკვლევ აქტს. გამომდინარე აქედან, სამეცნიერო აღწერას ექვემდებარება სამეტყველო აქტის განსაზღვრული ტიპი მასზე ყველა შესაძლებელი რეაქციის გათვლის თვალსაზრისით.

ყველაზე ხშირად სტიმულად განიხილება თხოვნის ან შეკითხვის სამეტყველო აქტები, ვინაიდან მათზე რეაქციები წარმოადგენს უპირატესად ვერბალურ აქტებს.

თეორიულ დონეზე განიხილება არა მარტო ორწევრიანი დიალოგური ერთობები, არამედ აქტების სამწევრიანი ჯაჭვებიც, რომელთაგან ერთ-ერთი, როგორც წესი, არის არავერბალური. მაგალითად: თხოვნა-შეპირება-შეპირებული ქმედება, ან თხოვნა-თხოვნის შესრულება-მადლობის გამოხატვა.

დაინახა რა ორაზროვნების წარმოქმნის შესაძლებლობა ხსენებულ ენობრივ ერთეულთა მიზნის გაგებაში, ოსტინმა შემოიტანა ილოკუციური ძალის ცნება, რომელსაც წინადადებისა თუ გამონათქვამის მიზნისაგან განსხვავებით აქვს პრაგმატიკული ბუნება, ე. ი. ყოველთვის არ გულისხმობს ენობრივ რეალიზაციას.

ამრიგად, თავად ტერმინში „სამეტყველო აქტი“ იყო გამოხატული აღნიშნული მოვლენის ძირითადი მახასიათებლები. ჯერ ერთი, სამეტყველო აქტი, ეს არის სოციალური ქმედების სახეობა, რის გამოც იგი ხასიათდება მიზანდასახულობითა და წინასწარგანზრახულობით. ამავე დროს სამეტყველო აქტი არის მეტყველება და შესაბამისად იგი ყოველთვის გულისხმობს პიროვნებათაშორის ურთიერთობებს (მოლაპარაკე სუბიექტი და ადრესატი). აღნიშნული ურთიერთობები შეუძლებელია სამეტყველო ქცევის პრინციპებისა და წესების გათვალისწინების გარეშე, ამიტომ სამეტყველო აქტი ყოველთვის არის კონვენციონალური. სწორედ ამ ორი მახასიათებლის კვლევა დაედო საფუძვლად სამეტყველო აქტების თეორიას.

წარმოადგენს რა სამეტყველო აქტის პრაგმატიკულ კომპონენტსა და კლასიფიკაციურ მახასიათებელს, ილოკუციური ძალა არ არის აქტის ენობრივ გაფორმებაზე იზოლირებული ზედნაშენი, არამედ მისი სისხლხორცეული შემადგენელია, ახდენს რა მისი პროპოზიციული შინაარსის აქტუალიზაციას. სწორედ ამ კავშირის არსებობა იძლევა იმის საფუძველს, რომ განვასხვავოთ სამეტყველო აქტი ისეთი ენობრივი ერთეულებისაგან, როგორებიცაა წინადადება და გამონათქვამი.

კულტურათა დიალოგში გამონათქვამი და წინადადება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთი დონის ერთეულები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ შინაგანი სტრუქტურის სირთულით. ყველაზე მარტივი სტრუქტურა აქვს წინადადებას, როგორც აზრის რეალიზაციის მოდელს. გამონათქვამი ხასიათდება როგორც წინადადება, წარმოთქმული რიგ ერთგვაროვან კომუნიკაციურ სიტუაციებში. წინადადებისაგან

განსხვავებოთ, გამონათქვამი გულისხმობს კონტექსტისა და მოლაპარაკის ინტენციის არსებობას მაგრამ მათი კომუნიკაციური მნიშვნელობა არ არის განსაზღვრული, ვინაიდან იგი არ არის მუდამ ერთგვაროვანი, არამედ იცვლება ერთი კომუნიკაციური სიტუაციიდან მეორემდე. სამეტყველო აქტი კი პირიქით, ხასიათდება დასაშვები განზრახვებიდან ერთ-ერთით, ვინაიდან რეალიზდება კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში, რომლის ყველა ექსტრალინგვისტური მახასიათებელი მიეკუთვნება მოცემულ სამეტყველო აქტს. მათი შეცვლა იწვევს თავად სამეტყველო აქტის ტიპის შეცვლას, ხოლო მათი არსებობა საერთოდ უფლებას იძლევა ვილაპარაკოთ სამეტყველო აქტზე როგორც ასეთზე და არა წინადადებასა თუ გამონათქვამზე.

არსებობს კიდევ სხვა მიდგომა ცნებების „წინადადება“, „გამონათქვამი“, „სამეტყველო აქტი“ ურთიერთმიმართებისადმი. ამ მიდგომას საფუძვლად უდევს მოცემული ერთეულების ბუნება, წარმოშობა. შესაბამისად, წინადადება, გამონათქვამი და სამეტყველო აქტი ამ მიდგომის ფარგლებში განიხილება როგორც სხვადასხვა დონის ერთეულები. წინადადება წარმოადგენს ენის სინტაქსური დონის ერთეულს, მას აქვს სტრუქტურა და მნიშვნელობა, მაგრამ ორივე განიხილება ფორმალურად, კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციასთან კავშირის გარეშე, ვინაიდან წინადადების კომუნიკაციურობა არის მხოლოდ პოტენციური, ჰიპოთეტური. წინადადების კომუნიკაციურ სიტუაციასთან კავშირის განსაზღვრა ძალიან რთულია, ხოლო უმეტეს შემთხვევაში სინტაქსური კვლევებისათვის ამის აუცილებლობა არც არის. გამონათქვამი არის სამეტყველო დონის ერთეული, რომლის არსებობის მოთხოვნილებაც გაჩნდა ენის ფორმალური შესწავლიდან კომუნიკაციურად განპირობებული ენობრივი სტრუქტურების შესწავლაზე გადასვლის გამო, რა დროსაც მნიშვნელოვანი გახდა ენობრივი ერთეულების შესწავლა მათი მეტყველებაში ფუნქციონირების თვალსაზრისით.

სამეტყველო აქტის ანალიზს მკვლევარი გაჰყავს ლინგვისტური შესწავლის ფარგლებს მიღმა. აქ უკვე ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს თანაბარი უფლებები ენიჭება. ამიტომ სამეტყველო აქტი თავდაპირველად განიხილებოდა არა როგორც ლინგვისტური, არამედ უფრო როგორც ლოგიკურ-ფილოსოფიური ერთეული. ეს არის სამეტყველო ქმედების კვლევის ერთეული, რომელიც მოიცავს აღნიშნული პროცესის ყველა ფაქტორს, ყველა ნიუანსს.

ტერმინის „სამეტყველო აქტი“ შინაარსი დღეისათვის რამდენადმე შეცვლილია, იგი შეივსო ლინგვისტური ასპექტით, ჩამოშორდა ფილოსოფიური ხასიათი, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი აზრი მაინც არ არსებობს. რიგ მეცნიერთათვის სამეტყველო აქტი არის უპირველეს ყოვლისა მეტყველი სუბიექტის, მოლაპარაკის აქტი, იგი განიხილება როგორც შეტყობინების ელემენტარული ერთეული, სამეტყველო ქცევა, კომუნიკაციური სვლა. ამ შემთხვევაში მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ექცევა იზოლირებული სამეტყველო აქტი, შეისწავლება მისი სინტაქსური სტრუქტურის კომპონენტები და ხდება ამ სტრუქტურის ყველაზე უფრო ზუსტი ინტერპრეტაციების მოძიება. სხვა ლინგვოპრაგმატიკული კონცეფციების მიხედვით სამეტყველო აქტი განიხილება როგორც კომუნიკაციური აქტის ერთგვარი არ აღიარებული სინონიმი, ე. ი. ხასიათდება პოტენციური დიალოგურობით, მასში კომუნიკანტების მონაწილეობით. აქედან გამომდინარე, ხდება სამეტყველო აქტის, როგორც სამეტყველო ურთიერთქმედების მთავარი სტრუქტურის აღიარება. ამახვილებენ რა ყურადღებას მისი განხილვისას ურთიერთქმედებაზე და არა ზემოქმედებაზე, ურთიერთობაზე და არა მხოლოდ შეტყობინების გადაცემაზე, მეცნიერთა ნაწილი აკრიტიკებს იზოლირებული სამეტყველო ქმედებებისა და მათი შემადგენელი ენობრივი ერთეულების კვლევას, მოითხოვენ რა მოლაპარაკის ინტენციის გარდა კიდევ სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების ჩართვას ანალიზში.

თავისი ფართო მნიშვნელობით სამეტყველო აქტი წარმოადგენს გამონათქვამის აქტუალიზაციას (წარმოთქმას) გარკვეულ სამეტყველო სიტუაციაში და ატარებს მოცემული სიტუაციის ანაბეჭდს. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანია სამეტყველო აქტების პრაქტიკული კვლევისათვის, ვინაიდან ძალიან რთულია ერთჯერადი, წარმავალი, წუთიერი მოვლენების კვლევა, რომელთაგანაც შედგება სამეტყველო ქმედება და რასაც წარმოადგენს გამონათქვამის წარმოთქმა. მეტყველების კვლევა ყოველთვის არის და-

კავშირებული ცვალებადი ობიექტის ფიქსაციის პრობლემასთან, ამიტომ მკვლევარი ყურადღების ფოკუსირებას ახდენს არა მარტო თავად სამეტყველო აქტზე, არამედ სიტუაციებზე აქტამდე (ინტენცია) და აქტის შემდგომ (ეფექტი), განიხილავს რა ყველაფერ ამას როგორც სამეტყველო აქტს. სამეტყველო აქტი წარმოადგენს ლინგვისტური და პრაგმატიკული მოვლენების ურთიერთქმედების ერთობას, შესაბამისად მისი ყველა შემადგენელი კომპონენტი განიხილება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სამეტყველო აქტის კვლევა წარმოადგენს მისი რეალიზაციის პრაგმატიკული კომპონენტების შესწავლას ლოკუციურ, ილოკუციურ და პერლოკუციურ ეტაპებად.

ამგვარად, კომუნიკაციური მნიშვნელობის საკითხის შესწავლაში მიზანშეწონილად შეგვიძლია მივიჩნიოთ კვლევის ჩარჩოების გაფართოება და ისეთი კომპონენტების ჩართვა, როგორებიცაა მოტივი, ინტენცია, კონკრეტული სამეტყველო აქტის განხორციელების საჭიროების აღქმა, ადრესანტისა და ადრესატის აქსიოლოგიური და ემპირიული განწყობების ურთიერთმიმართება, შედეგების პროგნოზირება, სამეტყველო აქტის რეალიზებისათვის საშუალებების მოძიება, არჩევა და ბევრი სხვა ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Баранов А.Н. Язык – инструмент лжи или средство прояснения истины? // Рекламный текст. Семиотика и лингвистика. М., 2000.
2. Вайнрих Х. Лингвистика лжи // Язык и моделирование социального взаимодействия. М., 1987.
3. Вежбицка А. Речевые акты // Там же. Вып. 16. Лингвистическая прагматика, М., 1985.
4. Дейк Т.А., ван. Анализ новостей как дискурса // Дейк Т.А., ван. Язык. Познание. Коммуникация. М, 1989.
5. Остин Дж. Слово как действие // Новое в зарубежной лингвистике. Вып. 17. Теория речевых актов. М., 1986.
6. Рахилина Е.В. Основные идеи когнитивной семантики // Фундаментальные направления современной американской лингвистики / Под ред. А.А. Кибрика, И.М. Кобозевой, И.А. Секериной. М., 1997.
7. Серль Дж. Р. Косвенные речевые акты // Новое в зарубежной лингвистике. Вып. 17. Теория речевых актов. М., 1986.

მაია თევზაძე კომუნიკაციური მნიშვნელობის ლინგვო-პრაგმატიკული ხასიათი რეზიუმე

კომუნიკაციური მნიშვნელობის პრობლემის შესწავლაში თანამედროვე კვლევებში გარდა ლინგვისტიკისტიკური კომპონენტებისა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაენობრივ ფაქტორებს. შესაბამისად, მიზანშეწონილად შეგვიძლია მივიჩნიოთ კომუნიკაციური მნიშვნელობის საკითხის შესწავლაში კვლევის ჩარჩოების გაფართოება და ისეთი კომპონენტების ჩართვა, რომლებიც ტექსტში ექსპლიციტურად არ არის გამოხატული, თუმცა დიდ გავლენას ახდენს მისი პრაგმატიკული მნიშვნელობის შევსებაზე.

Maya Tevzadze Lingvo-pragmatic Character of Communicative Meaning Summary

Besides lingvostylistical components, number of nonverbal factors is also accounted in modern studies concerning the issue of communicative meaning. Therefore, broadening the borders of such studies and including components which are not explicitly expressed in the text but greatly influences on the fulfillment of its pragmatic meaning, can be considered as legitimate.

Майя Тевзадзе Лингво-прагматический аспект коммуникативного значения Резюме

В современных исследованиях изучение проблемы коммуникативного значения предполагает учёт факторов, лежащих вне языка. Соответственно считается правомерным расширить границы исследования

данного типа значения рассмотрением таких компонентов ситуаций, которые в тексте эксплицитно не выявлены, но оказывают значительное влияние на наполнение его прагматического значения.

Лариса Викулова
Профессор, заместитель директора “Института иностранных языков” Московского городского педагогического университета

Евгения Серебренникова
Профессор Иркутского Евразийского лингвистического института (филиала Московского государственного лингвистического университета)

Аксиосфера и её отражение в суждениях, идентифицирующих личность

В связи с поставленной в современном антропологическом знании проблемой реальности познания человека, общества и культуры, в лингвистике усиливается интерес к изучению «языка человека и человека в языке» (Н.Д. Арутюнова) не только как процессу и результату познания и знания мира. Это выражается в таких системных представлениях, как картина мира, концептосфера, семиосфера, ноосфера, но и как к процессам формирования мнения, веры, верований, установок, оценок, ценностных ориентиров, которые приводят к формированию целостной аксиосферы и ее трансформациям во времени. Понятие аксиосферы не нашло в настоящее время достаточно глубокого изучения как особой теоретической проблемы, которая имеет важнейшее практическое «прикладное» значение для определения реальности человека, культуры и общества. В данной работе определим аксиосферу как глубинное и сквозное измерение концептосферы и одновременно динамической когнитивной Я-системы человека говорящего, участвующее в высказывании (дискурсе/тексте) как способе субъективации и модализации человека, т.е. выражении им отношения к осмысляемому миру и своему высказыванию о нем путем его оценивания. Оценивание понимается как перевод концептуализации смысла в концептуальное пространство ценностного – особо значимого, сокровенного (самого дорогого), идеального (образцового), должного, необходимого, полезного, желаемого (или их антиподов). Репрезентативными «маркерами» оценивания являются различного типа оценочные суждения, в которых явно выражается «ценностное измерение» человека говорящего, его ценностная позиция. Аксиосфера понимается в ее коллективном представлении (обществе, культуре) и в континууме сохранения и передачи ценностного от поколения к поколению, а также в ее индивидуально-личностном представлении по отношению к *здесь* и *сейчас* говорящему человеку. Это проявляет ее идентифицирующую, регламентирующую и прагматическую функции, служа основой для принятия решения и действия. Изучение ценностных суждений позволяет установить не только само содержание *аксиологем* – знаков, отсылающих к аксиосфере, но и проследить черты идентичности говорящего. Такого рода анализ целесообразен на основе ценностных суждений широко известных в обществе личностей – лиц, которые являются признанными лидерами мнения, чье статусное положение в обществе подкреплено авторитетом в коллективном сознании.

Актуальность исследования аксиосферы определяется ходом развития современного общества. Социальные последствия эпохи высоких технологий и глобализации значительно увеличивают познавательные и инструментально-материальные возможности человека. А *homo lingualis* сталкивается с обострением личностных возможностей к «укрошению» убыстряющегося темпа жизни, когда необходимо преодолевать препятствия к самореализации и самоутверждению в жизни. Человек и общество находятся в условиях необходимости постоянного выбора, формулирования оценки на фоне усиления остроты как социальных проблем в обществе, так и вечных вопросов, касающихся смысла бытия человека. Приметой времени сегодня становится формулирование характеристик современности как «слома традиционных ценностей», «столкновения цивилизаций», «идентификационного кризиса». Человек и общество оказываются в условиях необходимости постоянного выбора, формулирования оценки на фоне усиления остроты как социальных проблем в обществе, так и вечных вопросов, касающихся смысла бытия человека. В этой связи со всей остротой ученые ставят